სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N3/2703031101/3

ქ. თბილისი „18 “ „03“ 2020 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში „შემსყიდველი“, მინისტრის მოადგილის გიორგი წოწკოლაურის სახით და, მეორეს მხრივ, შპს ,,ემტექი“ შემდგომში “მიმწოდებელი“, დირექტორის ლელა ათოშვილის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა, ,,საქართველოს ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის N164 განკარგულებით, ,,2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N674 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 მარტის N176 დადგენილებით დამტკიცებული (,,ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვისათვის საჭირო საშუალებების შესყიდვა“) (პროგრამული კოდი 2703031101) პროგრამის ასიგნებების ფარგლებში და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამედიცინო მოწყობილობების შესყიდვაზე (CPV კოდი: 33100000, 33195100, 33182100, 33157400), რაზედაც მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი 971 550 (ცხრაას სამოცდათერთმეტი ათას ხუთას ორმოცდაათი) ლარად (შემდგომში ,,ხელშეკრულების ღირებულება“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1 მოსაწოდებელი საქონლის აღწერილობა, რაოდენობა და ფასები განისაზღვრება ხელშეკრულების დანართის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. საქონლის მოწოდების პირობები:

4.1. ვადები:

4.1.1 საქონლის მიწოდება, მონტაჟი, ინსტალაცია და სწავლება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარულ დღეში.

4.2. ადგილი:

4.2.1. შპს ,,ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“ ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N29

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება, ერთჯერადად ან ეტაპობრივად, ფაქტიურად მოწოდებული საქონლის მიხედვით, წინამდებარე ხელშეკრულების 17.1 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი პირების მიერ მომზადებული ინსპექტირების აქტის საფუძველზე შედგენილი მიღება–ჩაბარების აქტით.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება ლარში;

6.2. ანგარიშსწორება იწარმოებს, ფაქტიურად მოწოდებული საქონლის შესაბამისად, მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და ინსპექტირების აქტის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

7. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. უზრუნველყოს ,,შემსყიდველისათვის“ საქონლის მიწოდება დროულად და ხარისხიანად;

7.1.2. დროულად უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით (ტრანსპორტირების ხარჯის ჩათვლით);

7.1.3. დროულად განიხილოს შემსყიდველის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მოწოდებული საქონლის ხარისხის და მოცულობის კონტროლი;

8.2.2 ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას. ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყვეტილად ითვლება, აღნიშნულის შესახებ, მიმწოდებლისადმი გაგზავნილ წერილობით შეტყობინებაში მითითებული ვადიდან.

9. გარანტია.

9.1. დეფიბრილატორების - გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება საქონლის მოწოდებიდან 24 (ოცდაოთხი) თვის განმავლობაში;

9.2. ხელოვნური სუნთქვის აპარატების - გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება საქონლის მოწოდებიდან 24 (ოცდაოთხი) თვის განმავლობაში;

9.3. ლინეომატების - გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება საქონლის მოწოდებიდან 24 (ოცდაოთხი) თვის განმავლობაში;

9.4. პაციენტის მონიტორების - გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება საქონლის მოწოდებიდან 24 (ოცდაოთხი) თვის განმავლობაში;

9.5. ელექტრო და ინჟექტორული ამომქაჩების - გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება საქონლის მოწოდებიდან 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში;

9.6. საგარანტიო პერიოდში მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მხრიდან წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 48 საათის განმავლობაში დაადგინოს პრობლემების გამომწვევი მიზეზი და უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა, ხოლო საჭიორების შემთხვევაში განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეკეთება ან შეცვლა, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ ხელშეკრულებაში ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების ცვლილება

11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა

11.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.4 დაუშვებელია ერთეულის ფასის ისეთი ცვლილება, რომელიც გამოიწვევს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდას.

11.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, რომელიც წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია კანონით დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

14. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

14.1. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, ამ ხელშეკრულებაში გამოიყენება საბანკო (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული ბანკის მიერ გაცემული)/სადაზღვევო გარანტია. ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით, რომელიც შესყიდვის ობიექტის საბოლოო მოწოდების ვადას უნდა აღემატებოდეს 1 (ერთი) თვით.

14.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი დაუბრუნებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას.

14.3. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნებს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას.

14.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია წარმოდგენილ უნდა იქნეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

15.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

15.2. შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით.

15.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების 0,5 %-ის ოდენობით.

15.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგარანტიო მომსახურების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო გასაწევი მომსახურების ღირებულების 5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

16.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

17. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

17.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი პირები: სამედიცინო მოწყობილობების რაოდენობრივ ნაწილში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის მატერიალური უზრუნველყოფის და ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი - ზურაბ ტყემალაძე ხოლო სამედიცინო მოწყობილობების ტექნიკური შესაბამისობის ნაწილში - შპს ,,ნ. ყიფშიძის სახელობის

ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის“ კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი - გულნარა ქილიფთარი.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

18.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2020 წლის 30 მაისის ჩათვლით.

18.3. ხელშეკრულების მე-9 მუხლთან მიმართებაში ხელშეკრულების მოქმედების ვადა გრძელდება საგარანტიო პირობების ამოწურვამდე.

19. განსაკუთრებული პირობები

19.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილი და ხელმოწერილია ელექტრონულად (დოკუმენტზე შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და დოკუმენტი დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპით).

20. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	**,,მიმწოდებელი“**
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ქ. თბილისი, 0119, აკაკი წერეთლის გამზირი №144. საიდენტიფიკაციო კოდი: 202486559 სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22 ა/ა N200122900	შპს ,,ემტექი“ ქ. თბილისი, მირცხულავას ქ 10 ს.ს. ,,თი ბი სი ბანკი” ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა GE74TB1915136020100002 საინდიფიკაციო კოდი: 202443230
_____	_____
გიორგი წოწკოლაური **მინისტრის მოადგილე**	**ლელა ათოშვილი** **დირექტორი**

Digitally signed by Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia
Date: 2020.03.18 13:20:28 +04'00'

N3/2703031101/3 ხელშეკრულების დანართი

საქონლის დასახელება, მოდელი, წარმოშობის ქვეყანა, მწარმოებელი და ტექნიკური მახასიათებლები	რაოდენობა	განზომილების ერთეული	ერთ. ფასი	ჯამური ღირებულება
დეფიბრილატორი, ახალი, ექსპლუტაციაში არ მყოფი, ბიფაზური, პაციენტის მონიტორინგის შესაძლებლობით, მოზრდილთა და პედიატრიული, 360 ჯოული. **Mindray BeneHeart D3** (ჩინეთი)	19	ცალი	10400 ლარი	197 600 ლარი
დეფიბრილატორი, ახალი, ექსპლუტაციაში არ მყოფი, ბიფაზური, პაციენტის მონიტორინგის შესაძლებლობით, მოზრდილთა და პედიატრიული, პეისინგის სისტემით, 360 ჯოული. **Mindray BeneHeart D3** (ჩინეთი)	4	ცალი	11245 ლარი	44 980 ლარი
ხელოვნური სუნთქვის აპარატი, ახალი, ექსპლუტაციაში არ მყოფი, სუნთქვის სხვადასხვა რეჟმებით, მომუშავე წნეხილ ჟანგბადსა და აირზე, აკუმულატორით,ინტერაქტიული ფერად-თხევადკრისტალური ეკრანით, მოზრდილთა და პედიატრიულთა. (მოყვება 3 ცალი სუნთქვის კონტური) **Mindray Synovent E3** (ჩინეთი)	27	ცალი	20000 ლარი	540 000
ხელოვნური სუნთქვის აპარატი, ახალი, ექსპლუტაციაში არ მყოფი, ხელოვნური სუნთქვის აპარატი ტურბინით, აკუმულატორით,ინტერაქტიული ფერად-თხევადკრისტალური ეკრანით, მოზრდილთა და პედიატრიულთა. (მოყვება 3 ცალი სუნთქვის კონტური) **Mindray SV300** (ჩინეთი)	3	ცალი	25490 ლარი	76 470 ლარი
ლინეომატი, ახალი, ექსპლუტაციაში არ მყოფი, ერთარხიანი, ღია სისტემის, განკუთვნილი სხვადასხვა ზომის შპრიცებთან სამუშაოდ, აკუმულატორით, ფერად-თხევადკრისტალური ეკრანით. **Mindray SP3** (ჩინეთი)	30	ცალი	1180 ლარი	35 400 ლარი

პაციენტის მონიტორი, ახალი, ექსპლუტაციაში არ მყოფი, სტანდარტული მონიტორინგის ფუნქციით (სატურაცია, ეკგ, არაინვაზიური წნევა, ტემპერატურა, პულსი, სუნთქვის სიხშირე). **Mindray Umec 10** (ჩინეთი)	30	ცალი	1945 ლარი	58 350 ლარი
ელექტრო ამომქაჩი, ახალი, ექსპლუტაციაში არ მყოფი, ორბალონიანი (ჩინეთი)	3	ცალი	700 ლარი	2100 ლარი
ელექტრო ამომქაჩი, ახალი, ექსპლუტაციაში არ მყოფი, 40 ლიტრი წუთში. **Gima** (იტალია)	6	ცალი	900 ლარი	5400 ლარი
ელექტრო ამომქაჩი, ახალი, ექსპლუტაციაში არ მყოფი, 15 ლიტრი წუთში. **Gima uno** (იტალია)	7	ცალი	450 ლარი	3150 ლარი
ინჟექტორული ამომქაჩი, ახალი, ექსპლუტაციაში არ მყოფი, მომუშავე წნეხილ აირზე, **Tecnology medicale** (საფრანგეთი)	9	ცალი	900 ლარი	8100 ლარი
			სულ ჯამი: 971 550 ლარი	

„შემსყიდველი“
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტრო
საიდენტიფიკაციო კოდი: №202486559
ქ. თბილისი, 0119, წერეთლის გამზ. №144.

სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22 (220101222)
ა/ა 200122900

_____

გიორგი წოწკოლაური
მინისტრის მოადგილე

,,მიმწოდებელი“
შპს ,,ემტექი“
ქ. თბილისი, მირცხულავას ქ 10
ს.ს. ,,თი ბი სი ბანკი”
ბანკის კოდი TBCBGE22
ა/ა GE74TB1915136020100002
საინდიფიკაციო კოდი: 202443230

_____

ლელა ათოშვილი
დირექტორი

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ქ. თბილისი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერინი, ვადასტურებთ, რომ შპს ,,ემტექი''-ის მიმართ, სრულად ვაკმაყოფილებთ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

გ. წოწკოლაური

თ. ხარძიანი

ა. ჟვანია

თ. შალამბერიძე

გ. ქილიფთარი

ზ. ტყემალაძე

ა. მამალაძე